

ჩირურგიის ეროვნული ცენტრი



„საქართველოში უკვე სიმსივნეთა შორს წასული შემთხვევებიც იკურნება!“

ქირურგიის ეროვნული ცენტრში მართლაც რევოლუციური სიახლეა აქ უკვე წარმატებით ფუნქციონირებს სხივური მედიცინის დეპარტამენტი, სადაც მკურნალობის ულტრათანამედროვე მეთოდებისა და აპარატურის გამოყენებით გასაოცარი შედეგები მიიღწევა, თუმცა კიდევ უფრო გრანდიოზული პროექტებიც იგეგმება, რასაც სწორედ „კვირის პალიტრის“ მეშვეობით შეიტყობთ. თავისთავად რევოლუციური სიახლედ მიიჩნევა ის, რომ საქართველოში ონკოპაციენტებისთვის სიმსივნეთა შორს წასული შემთხვევების სათანადო მკურნალობა უკვე შესაძლებელია ამ თემასთან დაკავშირებით უფრო დეტალურად ქირურგიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები გვესაუბრნენ.



ლაშა ბაზაძე, ქირურგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი: — დიას, რაც შეეძლება მეტმა ადამიანმა უნდა გაიგოს იმ შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სიმსივნესთან ბრძოლაში უკვე არსებობს. კიბო აღარ არის განაწინი. ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევა არის მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების პრაქტიკა სიმსივნესთან ბრძოლაში, რასაც ქირურგიის ეროვნული ცენტრიც უბამს მხარს.

— ამ შემთხვევაში რა განაპირობებს თქვენს უპირატესობას?

— ცენტრში სხივური თერაპიისა და ბირთვული მედიცინის დეპარტამენტის შექმნა მართლაც უნიკალური პროექტია, რადგან მოიცავს ბირთვულ დიაგნოსტიკასაც, როგორც არის პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფია. ამჟამად მიმდინარეობს ციფრული პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფის — PET CT Philips Vereos-ის დამონტაჟება, რაც სიმსივნის გავრცელების უზუსტესი დიაგნოსტიკის შესაძლებლობას იძლევა.

აქ სიმსივნესთან ბრძოლისას შემუშავებულია მულტიდისციპლინური მიდგომა... კერძოდ, ყველა პაციენტის დიაგნოზის დაზუსტება და სამკურნალო გეგმის შედგენა ხდება TUMOR BOARD-ის პრინციპით, რომელშიც ყველა საჭირო სპეციალისტის ექიმია ჩართული (პროფილური ექიმი, ქირურგი, კლინიკური ონკოლოგი, სხივური თერაპევტი, მორფოლოგი და ა.შ.). მნიშვნელოვანია, რომ სხივური თერაპია მიმდინარეობს უახლესი ამერიკული ამქარებლებით — VARIAN TrueBeam და VARIAN VitalBeam-ით, ბრაქითერაპიისთვის კი გამოიყენება შვედური კომპანიის აპარატი ELEKTA Flaxitron, 2019 წლის მოდელი — ეს აპარატები საუკეთესოა ამჟამად მსოფლიოში.

— რამდენად ვიცით, ქირურგიის ეროვნული ცენტრში უცხოეთიდან შემოსული პაციენტების რაოდენობამ მკვეთრად იმატა...

— დიას, ასეა. უცხოელი ავადმყოფები რეგულარულად ჩამოდებიან და მოგვმართავენ როგორც დიაგნოსტიკის, ისე მკურნალობის მიზნით. ისინი, ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არიან. მათ ყველაზე მეტად მოსწონთ მულტიდისციპლინური მიდგომა, რითაც გამოირჩევა ქირურგიის ეროვნული ცენტრი, სიმსივნის საერთაშორისო საბჭოს მიერ მკურნალობის სტრატეგიის დასახვა და მისი რეალიზება.

— რამდენად ხელმისაწვდო-

მა ქირურგიის ეროვნული ცენტრში ონკოლოგიური პაციენტების მომსახურება?

— საკმაოდ ხელმისაწვდომია, მით უფრო, რომ დაფინანსებაში ჩართულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა. რაც მთავარია, ჩვენთან ონკოდაავადების მქონე პაციენტი იღებს ისეთივე მომსახურებას, რომელსაც მიიღებდა აშშ-ის ან ევროპის მონინავე ქვეყნების კლინიკებში, ფასები კი საკმაოდ დაბალია, მეზობელ ქვეყნებთან შედარებითაც... ეს განპირობებს სამედიცინო ტურიზმის განვითარებას და უცხოელი პაციენტების დიდი ნაკადის შემოდინებას.

თბა ბამბაზარდაშვილი, MD, PhD, MHA, ქირურგიის ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე: — მოგეხსენებათ, ქირურგიის ეროვნული ცენტრი ფართო პროფილის ჰოსპიტალია, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ონკოლოგია, ონკოლოგიურ დაავადებათა სრული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. მკურნალობა კომპლექსურია და აერთიანებს ქირურგიას, ქიმიოთერაპიას, სხივურ თერაპიას, იმუნოთერაპიას და სამიზნე თერაპიას.

სასიხარულოა, რომ ქირურგიის ეროვნული ცენტრში დამფუძნებელმა კომპანია „ავერსმა“ 9 მლნ ევროს ღირებულების პროექტი განახორციელა, რომელსაც მოჰყვა სხივური თერაპიის დეპარტამენტის მოწყობა. შედეგი მართლაც შთამბეჭდავია, ონკოლოგიის დარგში უახლესი ტექნოლოგიები და მედიცინის მიღწევები უკვე ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობისთვის და ეს სწორედ ეროვნული საქმეა. მით უფრო, ამჟამად სამედიცინო ტურიზმის გაცხივება და მაღალი ხარისხის საერთაშორისო სერვისზე მოთხოვნის ზრდა. თამამად შეიძლება ითქვას, ქართული მედიცინა მსოფლიო მედიცინის განვითარების ავანგარდშია!

სიმსივნე სხეულის დაავადებაა, რომელიც მის სულსა და გონებასაც აზიანებს. ასეთ მდგომარეობაში ყოფნა საკმაოდ ძნელია, მაგრამ რადგან სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია, ადამიანმა აუცილებლად უნდა მონახოს საკუთარ თავში ძალა სიმსივნესთან საბრძოლველად. დადებითი გუნება-განწყობის შენარჩუნება, აქტიური ცხოვრების წესი და მებრძოლი სულისკვეთება გადამწყვეტია სიმსივნესთან ბრძოლაში. ამ მხრივ ქირურგიის ეროვნული ცენტრში მოსვლა ონკოპაციენტისთვის იმედისა და შვებისმიცემა,

ვინაიდან ქირურგიის ეროვნული ცენტრში დროული მომართვა დაავადებისგან სრულად განკურნების ალბათობის პირდაპირპროპორციულია.

ბესიკ სოპრაშვილი, ქირურგიის ეროვნული ცენტრის რადიოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი: — მთავარი ის არის, რომ აქ პაციენტი სრულიად დაცულია არასწორი დიაგნოზის ან მკურნალობისგან. შეცდომა დაუშვებელია და გამორიცხული!

ჩვენ გვყავს ოფიციალური ექსპერტები, ემორის უნივერსიტეტის რადიაციული ონკოლოგიის დეპარტამენტის ხარისხის მართვის ხელმძღვანელი ნათია ესიაშვილი და მურსიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მაია ჯულაშვილი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ თითოეული პაციენტის მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრასა და გეგმის შემუშავებაში.

თანამედროვე მედიცინა პაციენტს მკურნალობის რამდენიმე მეთოდის კომბინაციას სთავაზობს, სწორი ტაქტიკითა და თანამედროვე მკაცრად დაცვით, რომელშიც ლომის წილი სწორედ სხივურ თერაპიას მიუძღვის.

— ინტერვიუს დასაწყისში აღინიშნა, რომ ცენტრი საუკეთესო მალალტექნოლოგიური აპარატურით არის აღჭურვილი. კერძოდ, რა შესაძლებლობები აქვთ მას?

— სიმსივნის გარშემო, როგორც წესი, არის ძალიან ბევრი კრიტიკული ორგანო, რომელიც არ უნდა დაზიანდეს, ჯანსაღი უჯრედები უნდა გადარჩნენ და მხოლოდ თანამედროვე აპარატურას ძალუძს დასხივება გასაოცარი სიზუსტით!

ჩვენი უპირატესობაა ისიც, რომ ონკოლოგიური პაციენტის მართვაში ყველა პროფილის ექიმი ჩართული. მაგალითად, აგრესიული სხივური თერაპიის დროს შესაძლებელია ჰემატოლოგიური გართულებები, მცირე ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა, ზოგადი მდგომარეობის მონიტორინგი. ქირურგიის ეროვნული ცენტრში არსებობს ერთიანი მულტიპროფილური სივრცე, სადაც პაციენტს დაუყოვნებლივ შეუძლია საჭირო სამედიცინო დახმარების მიღება. ერთი კლინიკის კედლებში მისი გადამისამართება სხვა პროფილის ექიმთან გაცილებით იოლია, რაც კომფორტულია პაციენტისთვის და საუკეთესო შედეგს უზრუნველყოფს.